შპს „თრეველინ“ ს/ნ 202464298

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2021			
აქტივები	**31-12-21**	**31-12-20**	**31-12-19**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**83,344.00**	**231,592.00**	79,790.00
ნაღდი ფული სალაროში	8,400.00	73,197.00	8959
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	74,161.00	153,805.00	25433
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	783.00	4,590.00	45397
სხვა მოკლევადიანი აქტივები	**262,431.00**	**540,814.00**	**661,967.00**
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	262,431.00	526,744.00	567,487.00
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	14,070.00	94480
სასაქონლო მატერიალური მარაგები			
ძირითადი საშუალებები	**406,332.00**	**430,808.00**	**455230**
შენობა-ნაგებობა (ოფისი)	392,028.00	412,661.00	434380
ავეჯი და სხვა ინვენტაი	6,786.00	8,489.00	8462
ტექნიკა ოფისისთვის	7,518.00	9,658.00	12388
სულ აქტივები	***752,107.00***	***1,203,214.00***	***1,196,987.00***
ვალდებულებები			
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	71,741.00	88,966.00	120370
გადასახდელი ხელფასები	25,578.00	19,638.00	20166
საგადასახადო ვალდებულებები ბიუჯეტის მიმართ	1,488.00	-	0
გრძელვადიანი ვალდებულებები	1,407,223.00	1,376,783.00	1117047
კლიენტისგან მიღებული ავანსები	-	201,287.00	14325
სულ ვალდებულებები	**1,506,030.00**	**1,686,674.00**	**1,271,908.00**
კაპიტალი			
დაგროვილი ზარალი	- 753,923.00	- 483,460.00	- 219,766.00
დამფუძნებლის შენატანი		-	144845
სულ კაპიტალი	**- 753,923.00**	**- 483,460.00**	**- 74,921.00**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	***752,107.00***	***1,203,214.00***	***1,196,987.00***

მოგება-ზარალის უწყისი		
შემოსავალი	**31-12-21**	**31-12-20**
შემოსავალი ავიაბილეთებიდან, დაზღვევა	3,738,918.00	2,044,456.00
შემოსავალი უცხოური სასტუმროების მომსახურების რეალიზაციიდან	552,743.00	141,463.00
შემოსავალი საქართველოს სასტუმროების მომსახურების რეალიზაციიდან	186,553.00	0.00
შემოსავალი გიდ-თარჯიმნებისა და სხვა საქართველოში გაწეული მომსახურებიდან	763.00	1,993.00
შემოსავალი უცხოური ტრანსპორტისა და სხვა უცხოეთში გაწეული მომსახურებიდან	30,444.00	54,108.00

Trawellin

ტურისტული პაკეტის მიწოდება არარეზიდენტებისათვის (დაუბეგრავი)	1,352,923.00	58,817.00
შემოსავალი იჯარიდან	3,000.00	
შემოსავალი ბონუსებიდან	48,157.00	46,995.00
სულ შემოსავალი	***5,913,501.00***	***2,347,832.00***
ხარჯები	**31-12-21**	**31-12-20**
ავიაბილეთების, დაზღვევის ხარჯი	3,449,427.00	1,900,707.00
სასტუმროს მომსახურების ხარჯი	1,597,385.00	200,700.00
გიდ-თარჯიმნების და სხვა საქართველოში გაწეული ხარჯი	61,811.00	27,927.00
შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება		- 7,712.00
სულ გაწეული მომსახურების ხარჯი	***5,108,623.00***	***2,121,622.00***
თვითღირებულება		
საერთო მოგება	***804,878.00***	***226,210.00***
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
შრომის ანაზღაურება	339,931.00	274,746.00
კომუნიკაციების ხარჯი	11,303.00	13,060.00
გიდ-თარჯიმნების მომსახურება	8,291.00	1,250.00
ცვეთა	24,476.00	26,591.00
ჯარიმები ავიაკომპანიებისგან	752.00	83,559.00
ბანკის საკომისიო	2,742.00	5,705.00
საქველმოქმედო ხარჯები	29.00	725.00
საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯები	115.00	1,213.00
ტურუსტული მომსახურების ხარჯი	434,086.00	3,454.00
ცნობები	50.00	100.00
სამივლინებო ხარჯი	4,591.00	248.00
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	-
მინების წმენდა	-	80.00
საკონსულტაციო მომსახურება	200.00	
სწავლის დაფინანსება	120.00	
აუქციონის საკომისიო	66.00	
ქონების გადასახადი	13,565.00	-
სულ საერთო ხარჯები	***840,317.00***	***410,731.00***
საოპერაციო მოგება	- ***35,439.00***	- ***184,521.00***
არასაოპერაციო შემოსავლები		
შემოსავლები კურსთა შორის სხვაობიდან	10,088.00	21,917.00
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	1,698.00	26,537.00
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	***11,786.00***	***48,454.00***
არასაოპერაციო ხარჯები		
სესხის საპროცენტო და საოპერაციო ხარჯები	225,071.00	115,911.00
საკურსო სხვაობით (გადაფასებით) და კონვერტაციით მიღებული ზარალი	21,370.00	11,263.00
საურავები	369.00	454.00
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	***246,810.00***	***127,628.00***

Trawellin

მოგება დაბეგვრამდე	- 270,463.00	- 263,695.00
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება/ზარალი 2021 წლის	- 270,463.00	- 263,695.00

	კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება 2021 წ 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის			
	დასახელება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
	ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**144,846.00**	**- 219,762.00**	**- 74,916.00**
	გაცემული დივიდენდი	-	-	-
	პერიოდის შედეგი	**- 144,846.00**	**- 263,698.00**	**- 408,544.00**
	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	- 483,460.00	- 483,460.00
	გაცემული დივიდენდი	-	-	-
	პერიოდის შედეგი		**- 270,463.00**	- 270,463.00
	ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		- 753,923.00	- 753,343.00

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი

	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	8400	73197
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	74161	153805
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	783	4590
სულ	83344	231592

Trawellin

ზოგადი ინფორმაცია

კომპანია, მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თრეველინ“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 202464298, დარეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ბუხაიძის #7, ფაქტიური მისამართი: საქართველო, თბილისი, ი. ნიკოლაძის 4, სართული 1.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტურისტული მომსახურება. მომსახურება მოიცავს შემდეგი სახის საქმიანობებს: ავიაბილეთების რეალიზაცია, ტურისტების ქართული ან/და უცხოური სასტუმროთი უზრუნველყოფა, ტრანსფერის სერვისი. კომპანია ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ქვეყნებიდან ტურისტების შემოყვანას საქართველოში და ტურისტული პაკეტის მიწოდებას: გიდის სერვისი, ტრანსპორტით უზრუნველყოფა, კვებითი მომსახურებით უზრუნველყოფა.

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:
თეიმურაზ ჯინჭარაძე - 34%;
ზურაბ ძიძიგური - 33%;
ვახტანგ მეუნარგია - 33%.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია. კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

TRAWELLIN LLC 202464298

მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე. კომპანია წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის უწყისს, სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშს. არ წარმოადგენს ქეშის მოძრაობის ანგარიშგებას.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით საწარმო მოახდენს აქტივების რეალიზებას და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განავითაროს კომპანია საქართველოში.

საქმიანობის უწყვეტობა

შპს თრეველინი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლების მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მსოფლიო ეკონომიკაში არსებული კრიზისები სხვადასხვა გარეშე და შიდა ფაქტორების შედეგად უცხოური ვალუტის მიმართ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობა გავლენას ახდენს უცხოური პროდუქტის ფასებსა და მიწოდების პირობებზე, რაც უშუალოდ აისახება საწარმოს საქმიანობაზეც.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ფული და ფულის ექვივალენტები

TRAVELLIN LLC 202464298

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს მოთხოვნებს იმ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ გაუწია მის კლიენტებს ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე მოთხოვნები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი მოთხოვნები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე მოთხოვნები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

ძირითადი საშალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია ახდენს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლოვობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. ნარჩენი ღირებულება

არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯის გამოკლებით.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება ნაშთის შემცირების მეთოდით:

კომპიუტერები	20%
ავეჯი ოფისისთვის და სხვა ინვენტარი	20%
შენობა-ნაგებობა ოფისისთვის	5%

შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული მომსახურების მომხმარებლებზე გაწევისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ მომსახურების გაწევის სანაცვლოდ.

შემოსავალი ტურისტული და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობიდან

კომპანია მომხმარებლებს აწვდის ავიაბილეთებსა და ტურისტულ მომსახურებას. შემოსავალი რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორიც არის ტურისტული მომსახურება, აღიარდება შესრულებისას იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების შეძენა, (ავიაბილეთის გამოწერა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

THREVELLIN LLC 202464298

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონელსა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

საკუთარი კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღაიარდება როგორც საკუთარი კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საკუთარი კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით. დაგროვილი ზარალი მოიცავს წინა საანგარიშგებო პერიოდების კუმულატიურ ზარალს.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება და დამტკიცება.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო სისტემაში, ბონუსები და სხვა სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

სესხები

გრძელვადიან სესხებად კლასიფიცირდება ის სესხები, რომლის დაფარვის ვალდებულება 12 თვეს აჭარბებს. სესხი აღირიცხება თვითღირებულებით.

ამონაგების აღიარება

მომსახურების გაწევიდან ამონაგები აღიარდება მომსახურების გაწევის შემდეგ, როცა მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა. ამონაგების აღიარება ხდება უკვე მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დღგ-ს გარეშე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დირექტორი თეიმურაზ ჯინჭარაძე

ბუღალტერი ნანა ნადირაძე

შპს თრეველინ TRAWELLIN LLC 202464298

Trawellin